საქართველოს მევენახეთა პატრიოტული საქმეები

ვაზის ჭირიმე, ვაზისა!

190.000 ტონა ყურძენისათვის!

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ გურჯაანის, ყვარლის, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების მშრომელნი კვლავაც იბრძოლებენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის, რომ თქვენს მაგალითს მიბაძავს მევენახეობის ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და რესპუბლიკის დანარჩენი რაიონების მოსახლეობა, რომლებმაც უფრო გვიან დაიწყეს მოსავლის აღება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმებიდან

□ □

კარტიისა და მთავრობის ამ მოწოდებას პირველნი გამოეხმაურნენ ზესტაფონელი მევენახეები

მხარი დავუჭიროთ მოწინავე მევენახეთა შესანიშნავ თაოსნობას!

ჩვენი ვალდებულება

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგთან ზესტაფონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოში

ამხ. გ. ყიფიანთან.

ზეიდწლეულის მეოთხე წელს ზესტაფონის საწარმოო სამმართველოში შემავალი რაიონების მევენახეები დიდი ამოცანების წინაშე დგანან — მათ ვალდებულება იკისრეს გეგმით გათვალისწინებული 37.890 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდონ 42.000 ტონა ყურძენი.

როგორ ხორციელდება ეს ვალდებულება?

გაჩაღებული რთველის პირველი დღეები მოწმობს, რომ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საკარმიდამო ნაკვეთებში ყურძნის მოსავალიც დიდია და მევენახეთა პატრიოტული სულისკვეთებაც — სამშობლოს მისცენ რაც შეიძლება მეტი ყურძენი.

ჩვენი მევენახეების ამ კეთილშობილურ მისწრაფებას ფრთები შეასხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმებამ კახელი მევენახეებისადმი, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა რესპუბლიკურ პრესაში.

12 ოქტომბრის მონაცემებით სამმართველოში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მოსახლეობის საკარმიდამო ვენახებში მოკრეფილია და წარმოებას ჩაბარდა 18.855 ტონა ყურძენი. საგულისხმოა, რომ მოსახლეობამ ვალდებულებით ნაკისრი 22.860 ტონიდან უკვე მიჰყიდა სახელმწიფოს 12.712 ტონა ყურძენი.

ყურძნის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში წინ მიდიან სოფლების ქვედა საზანოს, კვალითის, ზედა საზანოს, კაცხის და სხვა კოლმეურნეობები. დიდძალ ყურძენს აბარებენ აგრეთვე წარმოებას კოლმეურნეები, მუშები, მოსამსახურეები, რომლებსაც საკარმიდამო ვენახები აქვთ.

უთუოდ მოსაწონია ინიციატივა, რომელიც სოფელ ქვედა საზანოს კოლმეურნეობის წევრებმა გამოიჩინეს. მათ იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ წლევანდელი მოსავლის 90—100 პროცენტი. ამასვე მოუწოდებენ რესპუბლიკის სოფლის მშრომელებს, რომლებსაც ყურძენი მოჰყავთ.

რთველი ყოველდღიურად ძლიერდება. მოსავალი კარგია. ზესტაფონის საწარმოო სამმართველოში შემავალი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მოსახლეობა ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად გაანაღდებენ, ამით თავიანთ წვლილს შეიტანენ 190 ათასი ტონა ყურძნისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი № 242 (12450) | შაბათი, 13 ოქტომბერი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ქვედა საზანოელ მევენახეთა თაოსნობა

ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საზანოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, სოფლის ყველა მშრომელი გულმოდგინედ გაეცნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმებას მოწინავე მევენახეთა მიმართ.

პარტიისა და მთავრობის ამ მხურვალე მოლოცვამ ჩვენს გულში დიდი სიხარული, დიდი პატრიოტული სულისკვეთება აღძრა.

ამჟამად ჩვენს კოლმეურნეობაში, სოფლის მშრომელთა პირად მეურნეობებში ფართოდ არის გაჩაღებული რთველი. დღეისათვის უკვე მივყიდეთ სახელმწიფოს 600 ტონა ყურძენი, რაც ვალდებულებით გათვალისწინებული 740 ტონის 81 პროცენტს შეადგენს. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია.

ვითვალისწინებთ რა ყველა რეზერვსა და შესაძლებლობას, ფართოდ გაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას და **ვალდებულებას ვკისრულობთ სახელმწიფოს მივყიდოთ 800 ტონა ყურძენი.**

კოლმეურნეები, სოფლის მუშა-მოსამსახურეები თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთიდან სახელმწიფოს მიჰყიდიან 600 ტონა ყურძენს.

კონკრეტულ ვალდებულებებს კისრულობენ კოლმეურნეები: სერგო ჭუმბურიძე სახელმწიფოს მიჰყიდის მთელი მოსავლის 90 პროცენტს — ხუთ ტონა ყურძენს, ნიკოლოზ ჭუმბურიძე — 3 ტონას, ვალერიან ჭუმბურიძე — 4,5 ტონას, შალვა ჭუმბურიძე — 3,5 ტონას, ვარდო კვანტიძე — 5 ტონას, სავლე ჭუმბურიძე — 2,5 ტონას.

ვკისრულობთ რა ამ ვალდებულებებს, **მივმართავთ დასავლეთ საქართველოს** მევენახეობის ყველა კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, კოლმეურნეებს, მუშა-მოსამსახურეებს მიბაძონ ჩვენს მაგალითს, პირადი მეურნეობიდან მიღებული ყურძნის დიდი ნაწილი მიჰყიდონ სახელმწიფოს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე პ. აბესაძე, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ხიხაძე, კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ბ. ბუცხრიკიძე, კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი ზ. ჭუმბურიძე, კოლმეურნეობის აგრონომი ლ. ქვაბაძე, ბრიგადირი ვ. ფულუკიძე, მერგოლური ს. ჭუმბურიძე, კოლმეურნეები ს. ჭუმბურიძე, კ. კვანტიძე, ი. ჭანტურიძე.

ღირსეული შეხვედრა დიდი ოქტომბრის 45 წლისთავს

სალიეთიდან — იაპონიასა და გვინეაში

ჯიათერა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქიდან დასავლეთით, ადგურ სალიეთთან მდებარეობს წითელი მარმარილოს უმდიდრესი საბადო, რომელიც ცნობილია არა მარტო საბჭოეთში, არამედ უცხოეთშიც. აქაური მარმარილო ახლახან გაიგზავნა იაპონიაში, ჩეხოსლოვაკიასა და გვინეაში.

მარმარილოს მადაროს კოლექტივი ჩაბმულია საოკტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და 104 პროცენტით შეასრულა პროდუქციის დამზადების ცხრა თვის დავალება, გაიაიფა მისი თვითღირებულება.

წინასაოქტომბრო შრომითის ვახტუნგ დგანან იაკობ ჩუბინიძის, მიხეილ და ბიბეიკო მოდებაძეების ბრიგადები.

ზეგეგმითი პაპიროსი

ლოხუმი. (საკ. კორ.). სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივი ეროსაოკტომბრო პრომთის ვახტზე დადგა და ახალი საწარმოო გამაჯვება მოიპოვა — საერთო პროდუქციის გამოქვეყნის ცხრა თვის გეგმა 28 სექტემბრისათვის შეასრულა. დავალების ზეგით გამოქვეყნებული 7 მილიონზე მეტი ცალი პაპიროსი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობას არავის უთმობს მეორე საფარმოო უბანი, რომელსაც უფროსი ოსტატი დ. დანელია ხელძღვანელობს.

წლიური გეგმა — ერთი თვით ადრე

ნალენჯიხა. (საკ. კორ.). საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ნალენჯიხის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი (დირექტორი გ. კალანდია). კომბინატმა 9 თვის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 101 პროცენტით შეასრულა, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა — 108,4 პროცენტით.

კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა ბადაწყვეტილებაა წლიური გეგმა ვადაზე ერთი თვით ადრე — 1 დეკემბრისათვის შეასრულონ.

მივბაძოთ მოწინავე მევენახეთა მაგალითს!

ქართული ვაზი უჩვეულოდ გალაღდა წელს. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა ამ ძვირფასმა კულტურამ მძლავრად გაშალა მხრები და ჩვენი მევენახეების გულში სიხარულის კოცონი ააგიზგიზა.

აი უკვე ნახევარ თვეზე მეტია, რაც საქართველოს ზვრებში რთველი გაჩაღდა და მას ჯერ კიდევ ბოლო არ უჩანს.

ისეთი დიდი ვალდებულება, როგორიც ჩვენმა მევენახეებმა შვიდწლეულის მეოთხე წელს იკისრეს, არასოდეს არ ჰქონიათ.

190 ათასი ტონა ყურძენი სამშობლოს — აი მათი საბრძოლო ამოცანა და, რამდენადაც დიდია დავალება, იმდენად მტკიცეა მევენახეთა რწმენა, რომ პარტიისა და საბჭოთა მთავრობისათვის მიცემულ სიტყვას სახელოვნად შეასრულებენ.

ამაზე მეტყველებს გურჯაანის, ყვარლის, სიღნაღის, წითელწყაროს რაიონების მევენახეთა წარმატებები, რომლებიც რესპუბლიკაში პირველნი შეუდგნენ ყურძნის კრეფას. 11 ოქტომბრისათვის 85.015 ტონა ყურძნის ნაცვლად სახელმწიფოს უკვე მიეყიდა 90 ათას ტონამდე და ეს იმ დროს, როცა რთველი კვლავ გრძელდება.

ამ რაიონების ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმები. ამასთან კოლმეურნეები, სოფლის მუშა-მოსამსახურეები, ყველა — ვისაც საკარმიდამო ნაკვეთები აქვთ, ხალისით აბარებენ საზოგადოებრივ მარნებს ყურძნის საკუთარი მოსავლის დიდ ნაწილს.

და ეს განა შემთხვევითია? რა თქმა უნდა, არა. კომუნისტური პარტიის დიად იდეებზე აღზრდილი ჩვენი სოფლის მშრომელები უკვე აღარ არიან პირადულ, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილნი. ახლა ისინი აზროვნებენ არა როგორც მესაკუთრენი, არამედ როგორც საბჭოთა საზოგადოების ღირსეული წევრნი, ადამიანები, რომლებსაც წილად ხვდათ ბედნიერება — თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მხურვალედ მიესალმეს გურჯაანის, სიღნაღის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს, პარტიის ყვარლის, წითელწყაროს, სიღნაღის და გურჯაანის რაიონულ კომიტეტებს და რაიაღმასკომებს, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის საქმეში მოპოვებული წარმატებები.

პარტიისა და მთავრობის ამ დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ყურძნის უხვი მოსავლის მიღება შესაძლებელი გახდა თავდადებული შრომის მეოხებით, იმის მეოხებით, რომ სოფლის პარტიული ორგანიზაციები დიდ პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან მასებში. ამასთან ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ გურჯაანის, ყვარლის, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების მშრომელები კვლავაც იბრძოლებენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის, რომ მათ მაგალითს მიბაძავს მევენახეობის ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და რესპუბლიკის დანარჩენი რაიონების მოსახლეობა, რომლებმაც უფრო გვიან დაიწყეს ყურძნის კრეფა.

ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ამ შთამაგონებელმა, მომწოდებელმა სიტყვებმა ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებში. საქართველოს მევენახეები თავიანთი ღირსების საქმედ თვლიან ყურძნის დამზადების გეგმების გადაჭარბებით შესრულებას და ამ მიზნით ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, კისრულობენ ახალ, გადიდებულ ვალდებულებებს, ყველა ღონისძიებას ხმარობენ იმისათვის, რომ დიდი ოქტომბრის 45 წლისთავს სახახელო წარმატებებით შეხვდნენ.

ამ მხრივ უთუოდ მისაბაძი და მხარდასაჭერია ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საზანოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა ინიციატივა, რომლებიც სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის ახალ ვალდებულებებს კისრულობენ და მოწოდებით მიმართავენ დასავლეთ საქართველოს მევენახეობის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, ყველა მშრომელს — მხარი დაუჭირონ მათ თაოსნობას, მისცენ სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი ყურძენი.

— ვითვალისწინებთ რა ყველა რეზერვსა და შესაძლებლობას, — ამბობენ ქვედასაზანოელი კოლმეურნეები — ვაჩაღებთ საოკტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებას და ვკისრულობთ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 740 ტონისა სახელმწიფოს მივყიდოთ 800 ტონაზე მეტი ყურძენი.

ეს სოფელი მარტო საკარმიდამო ვენახებიდან სახელმწიფოს მიჰყიდის 600 ტონა ყურძენს. კოლმეურნე სერგო ჭუმბურიძე საზოგადოებრივ მარანს აბარებს 5 ტონა ყურძენს, ვალერიან ჭუმბურიძე — 4,5 ტონას, ვარდო კვანტიძე — 5 ტონას. ასეთი კოლმეურნეები აქ თითებზე ჩამოსათვლელი როდი არიან.

ახლა ამოცანა ის არის, რომ არც ერთი რაიონის მევენახეები არ ჩამორჩნენ მოწინავე რაიონების მევენახეებს, რომლებმაც სახელმწიფოს დიდძალი ყურძენი მიჰყიდეს და კანონიერად დაიმსახურეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მილოცვა.

რესპუბლიკის საწარმოო სამმართველოები, სოფლის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები ახლა სათავეში უნდა ჩაუდგნენ ჩვენი მოწინავე მევენახეების ახალ პატრიოტულ თაოსნობას — **მიჰყიდონ სახელმწიფოს თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთებიდან მოწეული ყურძენი.**

ღვინის ქარხნებმა, მიმღებმა და გადამმუშავებელმა პუნქტებმა თავდადება, პატრიოტული სულისკვეთება უნდა გამოიჩინონ, რათა შეუფერხებლად მიიღონ ჩვენი მევენახეების თავდადებული შრომის შესანშნავი ნაყოფი და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის დიდ სახელმწიფოებრივ საქმეში.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მევენახეები სასახელო მაჩვენებლებით უპასუხებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოწოდებას — უხვად მისცემენ სამშობლოს მაღალხარისხოვან ყურძენს!

უპატაკებენ სამშობლოს

ქასპის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის წლიური გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.730 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 3.745 ტონა. ნაკისრია ვალდებულება სახელმწიფოს მიჰყიდოთ დამატებით 1.200 ტონა ყურძენი. (საქდესი).

ჩამორჩენა ხილის დამზადებაში

ჩვენი მიმოხილვა

წელს რესპუბლიკის მეხილეები დიდი პასუხისაგები ამოცანების წინაშე დგანან. სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 67 ათასი ტონა თესლოვანი ხილი ნაცვლად შარშანდელი 61 ათასი ტონისა.

როგორც 10 ოქტომბრის ცნობები მეტყველებენ, თესლოვანი ხილის დამზადების საქმე რესპუბლიკაში საფრთხის წინაშეა. სახელმწიფოს მიეყიდა მხოლოდ 33.612 ტონა თესლოვანი ხილი.

ახლა ხილის კრეფის გადამწყვეტი დღეებია. გორის საწარმოო სამმართველოში შემავალ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ხილის მოსავლის აღებას არ ჩქარობენ. გეგმით გათვალისწინებული 26.120 ტონის ნაცვლად აღებულია მხოლოდ 6.481 ტონა.

განსაკუთრებით ჩამორჩნენ გორისა და ქარელის რაიონის მეხილეები.

ამ მხრივ ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც ახალციხის საწარმოო სამმართველოშია. მოკრეფილი აქვთ 682 ტონა ხილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.440 ტონისა.

საინტერესოა, რას ფიქრობენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეხილეები, როდესაც 4.590 ტონიდან მოკრეფილი აქვთ მხოლოდ 915 ტონა ხილი?

თესლოვანი ხილის კრეფისა და საბჭოთა სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმე ნელი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში. სოხუმის, ოჩამჩირის, გალის, გუდაუთის, გაგრის რაიონებს აღნიშნული სამუშაო ჯერაც არ დაუწყიათ. ასეგე ითქმის ქობულეთის, ბათუმის, შუახევის, ხულოს რაიონების შესახებ.

დრო არ ითმენს.

როგორ მიმდინარეობს ჩაის ფოთლის დამზადება?

(1962 წლის 10 ოქტომბრისათვის) (ტონობით)

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც საწარმოო სამმართველოებში რეპუბლიკურ ავტონომიურ რეს-პუბლიკებში	სულ		
	გეგმა	შესრულება	პროცენტი
ზესტაფონის	395	494	125,1
სამტრედიის	3721	4138	111,1
წყალტუბოს	5840	7135	122,2
მახარაძის	44760	49959	111,6
ცხაკაიას	17182	18565	108,4
ზუგდიდის	31271	33994	108,7
აფხაზეთის ასსრ	25760	25877	100,5
სოხუმის	22860	23693	103,6
გუდაუთის	2900	2184	75,3
აბაშის ასსრ	26121	29422	112,6
ქობულეთის	25961	29220	112,6
შუახევის	160	202	126,3
სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში	155000	169579	109,4
იყო 1961 წლის 10 ოქტომბრისათვის	150000	154035	102,7
იყო 1962 წლის 5 ოქტომბრისათვის	155000	169046	109,1

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო,

ბგენიემ შიმშილობა გამოაცხადა

ლეოპოლდვილი, 12 ოქტომბერი, (საკდესი). კრისტოფ გბენიემ, პატრის ლუმუმბას შემდეგ რომ დაიკავა კონგოს ეროვნული მოძრაობის პარტიის თავმჯდომარის პოსტი, რომელიც უშიშროების ადგილობრივმა სამსახურმა საპყრობილეში მოათავსა, უკანონო დაპატიმრების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გამოაცხადა შიმშილობა.

ამასთან დაკავშირებით კონგოს სხვადასხვა ნაციონალისტური პარტიის წარმომადგენლებმა კონგოს პარლამენტის დეპუტატთა პალატისა და სენატის თავმჯდომარეებს გაუგზავნეს წერილები, რომლებშიც პროტესტს აცხადებენ დეპუტატ გბენიეს დაპატიმრების წინააღმდეგ. წერილების ავტორები მოითხოვენ გბენიეს დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

ხანძარი ანტარქტიკულ ატომურ ელექტროსადგურში

ვაშინგტონი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის მაკ-მერდოს ანტარქტიკულ ატომურ ელექტროსადგურში გაჩნდა ხანძარი, რომელმაც ელექტროსადგურს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისიამ გამოაცხადა, ხანძრის მიზეზები ჯერ კიდევ ბოლო არ არის გამორკვეული.

ბუნდესვერის „გედის ტბა"

ბონი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერის მე-6 მექანიზებული დივიზიის დაახლოებით 10.000 ჯარიკაცი და 3.000 მანქანა, აგრეთვე დანის არმიის ნაწილები იღებენ მონაწილეობას მანევრებში, რომელიც წარმოებს შლეზვიგ-ჰოლშტაინის ბალტიის ზღვის სანაპიროზე. მანევრებში, რომელსაც ბუნდესვერის სარდლობამ უწოდა „გედის ტბა", მონაწილეობენ დასავლეთ გერმანიის არმიის ტანკები, ვერტმფრინავები და თვითმფრინავები.

ამავე დროს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბალტიის ზღვის სანაპიროზე მიმდინარეობს დასავლეთ გერმანიის სასაზღვრო დაცვის ქვეგანაყოფთა საშემოდგომო წვრთნა.

დას საგენტო იუწყება აგრეთვე, რომ წვრთნას გადიან დასავლეთ გერმანელი და ფრანგი „საბრძოლო მოცურავეთა" ქვეგანაყოფები. ეს წვრთნა მიმდინარეობს რაიონში — კილსა და ფლენსბურგს შორის.

ინდოეთი — ცნობები

კაირო, 12 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს გაიმართა იემენის არაბთა რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს სხდომა პრემიერ-მინისტრის ამდალა ას-სალალის თავმჯდომარეობით. ამ სხდომამ განიხილა სამხედრო მდგომარეობა იემენის რესპუბლიკის საზღვრებზე.

იემენის ამბები

როგორც მენის საგენტო აღნიშნავს, სხდომის შემდეგ პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ელ-ბეიდანიმ განაცხადა, რომ საბჭომ დასახა საჭირო ღონისძიებანი, რათა აღმოიფხვრას სამხედრო აჯანყია იემენის წინააღმდეგ და ერთი კვირის განმავლობაში მოისპოს შეიარაღებული ბანდები, რომლებმაც იემენის ტერიტორიაზე შეაღწიეს ჩრდილოეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

საგენტო აგრეთვე აღნიშნავს, რომ ქალაქ მარიბის რაიონში იემენის მთავრობის ჯარებმა დაამარცხეს შეიარაღებული რაზმები, რომლებიც იემენის ტერიტორიაზე შევიდნენ ინგლისის პროტექტორატ ბეიჰანიდან. საგენტოს ცნობით, იემენის არმიის სარდლობამ სასწრაფოდ გაგზავნა იქ ახალი მაშველი ძალები. ფიქრობენ, რომ ეს რაიონი მთლიანად გაიწმინდება შეიარაღებული ბანდებისაგან სამი დღის განმავლობაში.

კაირო, 12 ოქტომბერი. (საკდესი). შეიარაღებულმა ბანდებმა გუშინ გაანახორციელეს ახალი ცდები, რომ შეაჩერილიყვნენ იემენის ტერიტორიაზე საუდ-იემენის საზღვრის გადალახვით.

მენის საგენტო, რომელმაც ეს ცნობა გადასცა, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ბანდები, რომლებშიც უმთავრესად შედიოდნენ საუდ-იორდანელ ელემენტები, უკუაგდეს იემენის არმიის ნაწილებმა და დიდი ზიანი მიაყენეს მათ.

ჩვენი სტუმრები

რამდენიმე დღეს იყო საქართველოში სრულიად ინდოეთის მედიცინის მუშაკთა კონფედერაციის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

ინდოელმა სტუმრებმა დაათვალიერეს საქართველოს დედაქალაქის სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი, ესაუბრნენ მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მუშაკებს, იყვნენ ქალაქ რუსთავსა და სოფელ კაჭრეთში, სადაც ეწვივნენ ადგილობრივ საავადმყოფოს.

„ჩვენ აღტაცებული ვართ მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების ორგანიზაციის დონით სსრ კავშირში და, კერძოდ, საქართველოში" — ჩაწერეს მათ თბილისის მე-2 საავადმყოფოს შთაბეჭდილებათა წიგნში.

ინდოელი სტუმრები მოსკოვს გაფრინდნენ (საკდესი).

„მარინერ-2"-ს ფრენა

ვაშინგტონი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა სამმართველომ გამოაცხადა, რომ, უკანასკნელი გაანგარიშებით, კოსმოსური ხომალდი „მარინერ-2", რომელიც 27 აგვისტოს გაუშვეს კანაველალის კონცხიდან ვენერასაკენ, პლანეტას ჩაუვლის დეკემბრის შუა რიცხვებში 20.900 მილ მანძილზე.

ს. სარჯენო აღფრთოვანებულია

მოსკოვი, 11 ოქტომბერი, (საკდესი). სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშაკისა და მოსამსახურეების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მოწვეული საბჭოთა კავშირში ორ კვირას იმყოფებოდა ინდონეზიის გლეხთა ფრონტის დელეგაცია. გარდა მოსკოვისა დელეგაცია იყო უზბეკეთსა და საქართველოში, სადაც გაეცნო ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მართვას.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შემდეგ გლეხთა ფრონტის პრეზიდიუმის წევრმა ს. სარჯენომ საკდესის კორესპონდენტს განუცხადა:

— სოციალისტური სოფლის მეურნეობა დიდმწარმოებლურია, უხვად არის აღჭურვილი მანქანებით, რომლებიც ამსუბუქებენ მიწათმოქმედის შრომას. ჩვენ ვნახეთ მინდვრები, სადაც ჰექტარზე კრეფენ 3-3,5 ტონა ბამბას. ჩვენ გაგვაცა ჩაის საკრეფმა მანქანამ, რომელიც ამავე დროს ახარისხებს ჩაის.

ს. სარჯენოს ძალზე მოეწონა საბჭოთა გლეხობის ცხოვრების პირობები. მან აღნიშნა, რომ მათი გამომუშავება საკმაოდ საკმარისია შეძლებული ცხოვრებისათვის, რომ ისინი სარგებლობენ უფასო სამედიცინო დახმარებით, აქვთ კარგი საკუთარი სახლები ან იაფი ბინები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აგებულია შესანიშნავი სკოლები, კლუბები, ბიბლიოთეკები, სტადიონები.

— ჩვენ დავრწმუნდით, — განაცხადა დასასრულ ს. სარჯენომ, — რომ უზბეკეთი და საქართველო, რომლებიც ადრე რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა მხარე იყო, ახლა არაფრით არ ჩამოუვარდებიან დასავლეთის ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს.

მოახლოებული ზამთრის სუსხი დატრიალდა მთებში. წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის ცხვარმა დატოვა იალაღები. გუშინ კოლმეურნეობის საზამთრო საძოვრებზე გამოჩნდა პირველი ცხვრის ფარები. მათ ჯანღონით სავსე მეცხვარე, ბრიგადირი ნოდარ ჯანაშვილი მიუძღვის.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საზოგადოებრივი მეურნეობის დიდი სიკეთე

აი რატომ აქციეს ზურგი ზემო მაჩხაანში საკარმიდამო მეურნეობებს

იმის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს, თუ როგორ ვითარდება და იზრდება საზოგადოებრივი მეურნეობა, ნათლად ვხედავთ წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის მაგალითზე.

ზემომაჩხაანელი კოლმეურნეები შემოქმედებითი შრომით, ამ შრომის საამაყო შედეგებით უპასუხებენ მშობლიური პარტიის გადაწყვეტილებებს, რომ ჩვენს ქვეყანაში რაც შეიძლება მოკლე ვადაში განხორციელდეს სრულად დაკმაყოფილება მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებისა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ყოველწლიურმა ზრდამ, შრომის ნაყოფიერების ამაღლებამ, პროდუქციის თვითღირებულების ყოველწლიურმა შემცირებამ, რაც მსხვილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მოწინავე მეცნიერების დანერგვის, სოფლის მშრომელთა უმაგალითო აქტივობის შედეგად ხორციელდება, ბევრ ზემომაჩხაანელ კოლმეურნეს უარი ათქმევინა პირად მეურნეობაზე და მთელი თავისი შრომა და ცხოვრება დაუკავშირა მხოლოდ საზოგადოებრივს.

ჩვენი გაზეთის ამ გვერდზე სწორედ ამის შესახებ არის მოთხრობილი.

> **გარკვეულ ეტაპზე კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა მიაღწევს განვითარების ისეთ დონეს, როცა შესაძლებელი გახდება მისი რესურსებით სავსებით დაკმაყოფილდეს კოლმეურნეთა მოთხოვნილებანი. ამ საფუძველზე პირადი დამხმარე მეურნეობა თანდათანობით დრომოჭმული გახდება ეკონომიურად. როცა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა მთლიანად შეცვლის კოლმეურნეთა პირად დამხმარე მეურნეობას, როცა კოლმეურნეები თვითონ დარწმუნდებიან, რომ მათთვის ხელსაყრელი არ არის ჰქონდეთ საკარმიდამო მეურნეობა, ისინი ნებაყოფლობით იტყვიან უარს მასზე.**
>
> *სკკპ პროგრამიდან.*



ასე იზრდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება (რძე, ხორცი — ცენტნერობით, კვერცხი — ათას ცალობით).



ძროხების რაოდენობა პირად სარგებლობაში წინათ და ახლა.

ცხოვრების კარნახით



როცა საზოგადოებრივ მეურნეობაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის გიგანტური მუშაობა, რასაც მშობლიური კომუნისტური პარტია ეწევა სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობისათვის. ეს გასაგებიც არის. მძლავრ მრეწველობასთან ერთად აყვავებული, ყოველმხრივ განვითარებული და მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნა კომუნიზმის აშენების აუცილებელი პირობაა — ნათქვამია სკკპ ახალ პროგრამაში. და ჩვენ, სოფლის მეურნეობის მუშაკებს, კარგად გვაქვს შეგნებული ამ სიტყვების დიდი ისტორიული მნიშვნელობა. რა უნდა იყოს უფრო საამაყო, ვიდრე ასეთი კეთილშობილური ამოცანის შესრულება.

ჩვენი კოლმეურნეობა რესპუბლიკაში ერთ-ერთი მსხვილი და მძლავრი სასოფლო-სამეურნეო არტელია. მთელი მისი ფართობი 16.600 ჰექტარს შეადგენს. მარტო სახნავი 5.700 ჰექტარია. გვყავს 3.022 სული მსხვილფეხა პირუტყვი, 28 ათას სულამდე ცხვარი, სამი ათას სულზე მეტი ღორი, 20 ათასამდე ფრთა ფრინველი და სხვ. წელს მარტო 9 თვეში სახელმწიფოს მივყიდეთ 504 ტონა ხორცი, 1.270 ტონამდე რძე, 741.000 კვერცხი, თითქმის 100 ტონამდე მატყლი, 830 ტონა ყურძენი და სხვა პროდუქტები. კოლმეურნეობის წლიურმა შემოსავალმა წელს უნდა შეადგინოს მილიონ 400 ათას მანეთამდე.

თუ 1953 წელს კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდი შეადგენდა 7.181.041 მანეთს (ძველი კურსით), 1962 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 3.033.192 მანეთი (ახალი კურსით).

მაგრამ განა თავისთავად მოვიდა ეს?

როგორია ჩვენი არტელის მიერ განვლილი გზები, რა არის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების წყარო?

ჩვენს სოფელში მოხუცები ხშირად გაიხსენებენ ხოლმე: როცა ზემო მაჩხაანში 1927 წელს პირველად ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა, მასში მხოლოდ 25 ოჯახი გაერთიანდა. საწარმოო საშუალებებიც პრიმიტიული ჰქონდათ: ჯერ ერთი ცხენი იყიდეს, შემდეგ ოთხი ცხენი შეიძინეს, და ასე თანდათანობით პატარა მეურნეობა ძალებს იკრებდა. შემდეგ კი სოფელში ოთხი კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა, და მაინც მაშინ პირადი მეურნეობები იყო ძირითადი. სოფლის შემოსავლის თითქმის ორი მესამედი პირად სარგებლობაში მყოფ საკარმიდამო ნაკვეთებზე მოდიოდა. თუ საკოლმეურნეო ფერმებში მხოლოდ ორსამი ათეული ძროხა იყო, პირადი სარგებლობის ნახირში ძროხებს ვერც კი დაითვლიდით.

აბა ერთი ახლა მობრძანდით ჩვენს სოფელში! არ არის არცერთი ოჯახი, გარდა მცირეოდენი მუშა-მოსამსახურეებისა, რომ კოლმეურნეობაში არ იყოს გაერთიანებული, საკარმიდამო ნაკვეთებს აქა-იქ ამუშავებენ მხოლოდ მცირე, დამატებითი შემოსავლის მისაღებად. პირად სარგებლობაში კი მხოლოდ 13 ძროხაა. აქედანაც კოლმეურნეობის წევრებისა მარტო 3 ძროხაა.

რატომ მოხდა ასე? ამ რამდენიმე წლის წინ კი, როგორც ხედავთ, სულ სხვა სურათი იყო.

მთავარი ის არის, რომ სოფელში უკვე ბევრი დარწმუნდა საზოგადოებრივი მეურნეობის უპირატესობაში.

ახლანდელი მდგომარეობა რომ შევადაროთ, თუ განვავთ, ამ ათი წლის წინათ არსებულ მდგომარეობას, ჩვენი კოლმეურნეობის მაგალითზე დავინახავთ ასეთ ფაქტებს: 1953 წელს საშუალოდ თვითეული ძროხის წველადობა 800 ლიტრს არ აღემატებოდა, შარშან კი ყოველ ძროხაზე საშუალოდ მივიღეთ 2.460 ლიტრი რძე. ახლა 9 თვის მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ ეს ციფრი მიმდინარე წელს უფრო მეტად გაიზრდება. ან ავიღოთ ხორცის წარმოება. თუ 1953 წელს ვაწარმოვეთ მხოლოდ 350 ტონა ხორცი, წელს მარტო 9 თვეში ვაწარმოვეთ ორჯერ მეტი. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა სიმინდის, ყურძნის, კვერცხის და სხვა პროდუქტების წარმოება.

ბუნებრივია, რომ კოლმეურნეობის შემოსავლის ზრდასთან ერთად იზრდება კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებული შრომადღეების ღირებულებაც. კვლავ მივმართოთ ფაქტებს. კოლმეურნე აკაკი აბრამის-ძე ოზბეთელაშვილის ოჯახმა წელს უკვე მიიღო შრომადღეების მიხედვით 756 მანეთი ფულად, 3.022 კილოგრამი ხორბალი, 30 კილოგრამი ყველი, ხოლო წლის ბოლომდე დამატებით კიდევ მიიღებს 40 ტრაქტორს, 25 კომბაინს, 46 სატვირთო მანქანას, 26 სათესს ითვლის. დიდი რაოდენობით გვაქვს კულტივატორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები. კოლმეურნეობა განმტკიცდა სპეციალისტთა კადრებით. ჩვენ ახლა გვყავს 53 უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების მქონე სოფლის მეურნეობის სპეციალისტი. მათ შორის 3 აგრონომია, 5 ზოოტექნიკოსი, 2 მექანიზატორი და 1 ვეტექიმი. ეს კი დიდი ძალაა, რომ უკეთესად გამოვიყენოთ მიწა, ავამოქმედოთ სოფლის მეურნეობის ყველა რეზერვი. თუ ჩვენ წინათ უხვი მოსავლის ოსტატები, შუქურები თითებზე ჩამოსათვლელი გვყავდა, დღეს ისინი საკმაოდ არიან ყველა ფერმაში, ბრიგადაში, რგოლში.

ახლა კოლმეურნეობის წინაშე, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა საზოგადოებრივ მეურნეობათა წინაშე, მეტად დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას. რა თქმა უნდა, მიმდინარე წლის ვალდებულებას პირნათლად შევასრულებთ, მაგრამ წინ კვლავ ზღუდეებია ასაღები. ზემომაჩხაანელი კოლმეურნეები ვალდებულებას კისრულობენ მომავალი წლისათვის სახელმწიფოს მიჰყიდონ 2.000 ტონა მარცვლეული, 600 ტონამდე ხორცი, 1.350 ტონა რძე, 980.000 ცალი კვერცხი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები.

ნ. მამაიაშვილი,
კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ზემომაჩხაანელებმა წელს 9 თვეში სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 17.700 ცენტნერი რძე.
სურათზე: რძის გაგზავნა მიმღებ პუნქტში.

კომუნისტები — წინამძღოლები

პართორგანიზაციის კრებაზე უკრაინელი კოლმეურნის ნ. ზაგლადას სტატიის შესახებ ვლაპარაკობდით. ყველა კომუნისტი იმ აზრისა იყო, რომ ამ სტატიაში აღძრული საკითხები პირველ რიგში შეგვეხება ჩვენ, კომუნისტებს. და ეს ასეც არის: ვინ უნდა ზრუნავდნენ პირველ რიგში მშობლიური კოლმეურნეობის სიკეთისათვის, თუ არა კომუნისტები.

ჩვენი პარტიული ორგანიზაცია კი საკმაოდ მძლავრია, თავის რიგებში 158 კომუნისტს აერთიანებს. და თუ კოლმეურნეობა მთელ რიგ დარგებში ყოველწლიურად კარგ მაჩვენებლებს აღწევს, ამაში უდავოდ დიდია კომუნისტების დამსახურება. ავიღოთ თუნდაც მეცხოველეობა. კომუნისტთა თითქმის მესამედი ამ დარგში მუშაობს. კოლმეურნეთა სიყვარულით სარგებლობენ მეცხვარე მალხაზ ნასრაშვილი, რომელმაც 100 პროცენტით შეინარჩუნა ნამატი, მეფრინველეობის ბრიგადის ხელმძღვანელი ქეთევან ლაპიაშვილი, რომელმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულა კვერცხის წარმოების გეგმა, ან მეძროხეობის № 3 ბრიგადის ბრიგადირი აბრამ ცაკაშვილი და სხვ. ისინი ჩვენი ნამდვილი შუქურები არიან, რომელთაც ასეთი დიდი პატივისცემა მოიპოვეს სოფელში. კომუნისტი შუქურები თითქმის ყველა ბრიგადაში არიან.

პარტიული ორგანიზაცია, მისი კომიტეტი პირველ რიგში დაინტერესებულია იმით, რომ ყველა უბანზე სწორად იქნან განაწილებული კადრები. ყველაზე პასუხსაგებ და ძნელ უბნებზე კი კომუნისტები არიან. თვითეულ მათგანს კარგად ესმის, რომ მის შრომასა და ცხოვრებას ჰყავს ბევრი მიმდევარი, უპარტიო კომეურნეები ხშირ შემთხვევაში მათგან იღებენ მაგალითს. ამიტომ არის, რომ ყველა კომუნისტი აქტიურად არის ჩაბმული შრომაში. და განა მარტო ეს? კომუნისტები არიან საუკეთესო აგიტატორები, პროპაგანდისტები, ბევრი სასარგებლო საქმის ინიციატორები.

ჩვენთან იყო შემთხვევები, როცა ზოგიერთი კოლმეურნე უგულოდ ეკიდებოდა საზოგადოებრივ შრომას. იგი ასე ფიქრობდა — ოღონდ ჩემი საკარმიდამო ნაკვეთი დავამუშავო კარგად და კოლმეურნეობაში სხვებიც იმუშავებენო. ზოგიერთი სიმინდის ძირებს მიწას ისე მიაყრიდა, რომ ბალახი დაეფარა და მეტი შრომადღე გამოემუშავებინა. ასეთი ფაქტების წინააღმდეგ კომუნისტები ადგილზევე იღებდნენ ზომებს. მაგალითად, ტრაქტორისტმა ა. გოგილაშვილმა უხარისხოდ მოხნა ნაკვეთი, ეს შენიშნა კომუნისტმა ვ. ბოსტოღანაშვილმა და კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე მაშინვე დააყენა საკითხი გოგილაშვილის ტრაქტორისტობიდან განთავისუფლების შესახებ.

მაგრამ მარტო დასჯის ღონისძიებანი რიდია ყოველთვის ხელსაყრელი. მთავარი, რასაც თავის მოღვაწეობაში ახლა პარტიული ორგანიზაცია მიმართავს, ეს არის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება, ყველა კოლმეურნეობაში იმ შეგნების განმტკიცება, რომ სოზოგადოებრივი მეურნეობის განვითარება პირველ რიგში მათივე ბედნიერებისაკენ არის მიმართული.

სამწუხაროა, რომ სოფელში აქა-იქ კიდევ შემოგვრჩნენ უსაქმურები, მუქთახორები, ისეთები, რომლებზეც ასე აღშფოთებით ამბობს ნ. ზაგლადა. კოლმეურნე რევაზ მიხეილის-ძე ნატროშვილი მხოლოდ თავის საკარმიდამო ნაკვეთს ჩაჰკირკიტებს. მოახერხა ავტომანქანის „ვოლგის“ შეძენაც და ახლა ეს მანქანა გადააქცია თავისი შემოსავლის წყაროდ. საკოლმეურნეო შრომას თავს არიდებენ ვასიკო ყოჩიაშვილი, ჟუჟუნა ცაკაშვილი, ნათელა გოგილაშვილი...

ეს ფაქტები იმას მოწმობს, რომ პარტიულმა კომიტეტმა, კომუნისტებმა ყველაფერი როდი გააკეთეს კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაციის სანიმუშოდ დაყენებისათვის. ეს ჩვენ კვლავ ბევრ რამეს გვავალებს. მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებაა საჭირო მოწინავე კოლმეურნეთა გამოცდილების გასავრცელებლად ყველა ბრიგადასა და რგოლში. დასამალავი არ არის, რომ ჩვენთან ზოგიერთი ბრიგადა ბევრად ჩამორჩება იმავე პირობებში მომუშავე მოწინავე ბრიგადებს.

ნ. ცაკაშვილი,
კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

შრომა — კაცის სიხარული

ორმოცდათოთხმეტი წლის კაცი ვარ. რომ მითხრან — ხელახლა დაგეწყო ცხოვრება, რას იზამდიო, გულახდილად ვიტყვი, ისევ კოლმეურნეობაში შრომით დავიწყებდი. მე განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში, ძალიან მიკვირს — ზოგიერთი კაცი მთელი წლობით საკარმიდამო მიწას ჩიჩქნის: ის შრომა რომ კოლმეურნეობაში დახარჯოს, განა უფრო მეტი შემოსავალი არ იქნება?

მევენახეობის ბრიგადაში ვმუშაობ და წელს მოსავლმა ძალიან გაგვახარა. გვიხარია იმიტომ, რომ ჩვენი შრომა დაფასდა. 550 შრომადღე მარტო მე გამოვიმუშავე, არც მეუღლე დარჩენილა ვალში, რაც სამამულო ომის დროს ფრონტზე ვიყავი და ოჯახი ცოტა უკან ჩამომორჩა, ამ უკანასკნელ წლებში ისევ დავაყენე ფეხზე.

რამდენჯერ მინახავს, რომ ბრიგადაში ზოგიერთი ვაზს ბარავში ან ფურჩვნაში ისე ეკეცოდა, როგორც სხვისას. კარგია, რომ ამ ბოლო დროს თანდათანობით ბევრმა გაიგო თუ რა არის ჩვენი ცხოვრების სიკეთე.

მ. მაძღარაშვილი,
კოლმეურნე.

თუ საქმისათვის გული შეგტკივა



ჩვენთან ერთი ერთი წამყვანი დარგი მეცხოველეობაა. ამიტომ თუ გულით გსურს მშობლიური კოლმეურნეობა მდიდრდებოდეს და ძლიერდებოდეს, პირუტყვიც უნდა გიყვარდეს და მასზე ზრუნვაც.

თორმეტი წელია მეძროხეობის ბრიგადას ვხელმძღვანელობ და ხშირად ერთმანეთს შევადარებ ხოლმე: როგორი იყო ბრიგადა მაშინ, როცა პირველად დავიწყე მუშაობა, და როგორია ახლა. ჯერ ერთი, საძროხეები მოუწყობელი გვქონდა, არ იყო მექანიზაცია. ძროხებს ხელით ვწველიდით. 85 ძროხას 22 კაცი ვემსახურებოდით, დაბალი იყო რძის წარმოების დონე. ერთ ძროხაზე საშუალოდ 800 ლიტრს ვიღებდით. ყოველი ლიტრი რძის მიღება ძალზე ძვირი გვიჯდებოდა. ახლა კი ბრიგადაში მხოლოდ 14 კაცია. მწველავთა რაოდენობა 2-ჯერ შემცირდა. ამას ხელი შეუწყო იმან, რომ ბრიგადაში მექანიკური წველა გვაქვს. მაგრამ როდი ვფიქრობთ ამ დონეზე გაჩერდეთ. ჩვენი საწველი აპარატები მაინც ძველი ნიმუშისაა, გადაწყვეტილი გვაქვს ახალი შევიძინოთ და სანახევროდ კიდევ შევამციროთ მწველავთა რიცხვი, ისე რომ 88 ძროხას 3 მწველავი ჰყოფნიდეს. ეს კიდევ უფრო შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

მიუხედავად არახელსაყრელი ამინდებისა, ჩვენ საკმაოდ მოვიმარაგეთ პირუტყვისათვის საკვები. დავამზადეთ 130 ტონა ნამჯა, ჩადებულია 360 ტონა სილოსი, ხოლო ამ დღეებში დამატებით კიდევ ჩავდებთ 100 ტონა სილოსს. ფერმისპირა ნაკვეთებზე დათესეთ ქერი, რასაც მწვანე სამოვსაჭიროა, როცა თვითონ ჩვენი ბრიგადა ამარაგებს მთელ კოლმეურნეობას საჭირო რძით. სოზოგადოებრივი შრომის სიყვარულმა ჩვენთან ბევრი კოლმეურნე შუქურად აქცია. მაგალითად, წელს მწველავ ჩიტო ჯანშვილს დღემდე მიღებული აქვს 55.900 ლიტრი, ხოლო ერთ საფურაჟე ძროხაზე — 2.655 ლიტრი რძე. თარმინან ნატროშვილმა 52.290 ლიტრი რძე მიიღო, რაც თვითეულ საფურაჟე ძროხაზე საშუალოდ 2.325 ლიტრია. მაღალ წარმატებას აღწევენ სხვა მწველავებიც.

ბრიგადის წევრებს შრომისა და დასვენების კარგი პირობები აქვთ შექმნილი, საწოლი ოთახი, წითელი კუთხე, სადაც არის რადიომიმღები, მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა და სხვ.

ა. ცაკაშვილი,
მეძროხეობის № 3 ბრიგადის ბრიგადირი.



ასე იზრდება კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი.

მინდვრის მშრომელის სინდისი

თებერვალი ცივ-ცივ ვესტუმრეთ ზემო მაჩხაანს, მაგრამ სოფელი თითქოს ერთნაირად დაცარიელებული ყო. აქა-იქ ცენტრალურ შარაზე თუ გამოჩნდებოდა ვინმე ახალგაზრდა მამაკაცი. მხოლოდ ერთ ადგილას, სოფლის ყველაზე ლამაზსა და დიდ შენობაში, კულტურის სახლის ზედა სართულზე, სადაც ახლა კოლმეურნეობის კანტორა გადაუტანიათ, მოისმოდა საინგარიშოს ყრუ, მაგრამ გამული ჩხაკა-ჩხუკი.

ასეთია სოფელი, იგი ყოველთვის ადრე იღვიძებს. ძნელია, როგორ ადრეც არ უნდა მიხვიდე იქ, მშრომელ კაცს სახლში მოასწრო. ზემო მაჩხაანი კი რით ჩამორჩება სხვა სოფელს! შარაქის ველზე და „თელა წყალზე“ კოლმეურნეობის ხორბალი ითესება, „ქუმბათზე“ მევენახეები ყურძნით ავსებენ გოდრებს, ზოგან პირუტყვის სადგომ შენდება, მთიდან მომავალი ცხვრის თეთრი ფარები კი უკვე ბრუნდებიან. ბოდა მზეს ამოსვლას ვინ დააცლის..

როცა ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობას ახლოს ეცნობი, არ შეიძლება აღტაცებაში არ მოხვიდე ამ მეურნეობის ეკონომიკის სიმძლავრით, მისი მინდვრებისა და ფერმების სიდიდით, მისი შესანიშნავი ადამიანებით. წელს საშემოდგომოდ მარტო ხორბლისა და ქერს 3.500 ჰექტარ ფართობზე თესავენ. კოლმეურნეობის ფერმებში 3.022 მსხვილფეხა პირუტყვია, 27.350 ცხვარი, 3 ათასზე მეტი ღორი, 20 ათასამდე ფრთა ფრინველი. ახლა სხვა დარგები აიღეთ. ვენახი, მეფუტკრეობა.

უნებლიეთ იკითხავთ, მერე და ასეთ მეურნეობას გაძღოლა ხომ უნდა?!

25 წელია, რაც ამ კოლმეურნეობას სათავეში უდგას საკოლმეურნეო წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორი ნიკოლოზ პეტრეს-ძე მამაიაშვილი. მძლავრია აქ კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციაც, რომელიც თავის რიგებში 158 კომუნისტს აერთიანებს. სწორედ კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის გონივრული ხელმძღვანელობის შედეგად შესაძლებელი გახდა ყოველწლიურად განმტკიცებულიყო საზოგადოებრივი მეურნეობა, ეს მეურნეობა გამხდარიყო კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრების მთავარი, ძირითადი წყარო. აქ თითქმის ყველა კოლმეურნეს ახლა ორსართულიანი, ლამაზი სახლი აქვს, სოფელში აშენდა უზარმაზარი კულტურის სახლი, სკოლა, სამშობიარო, ამბანო და კოლმეურნეთა კულტურული გართობის, დასვენების, საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა ობიექტები.

— ამას თუ მოვესწრებოდი ადარ მეგონა, — ამბობს სოფლის ყველაზე უხუცესი მცხოვრები ქარუმა გოგილაშვილი.

კოლმეურნეები თავიანთი სოფლის მაგალითით დარწმუნდნენ, თუ რა შეუძლია თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასთა და მოწინავე მეცნიერებას, დაუფლებული კადრებით შეიარაღებულ საზოგადოებრივ მეურნეობას. ამიტომ არის, რომ ისინი თანდათანობით თავს ანებებენ საკარმიდამო ნაკვეთებს, პირადი სარგებლობის პირუტყვს და ნებაყოფლობით გადასცემენ კოლმეურნეობას.

პირადმა მეურნეობამ სოფელში ძალა დაკარგა, გადაიქცა კოლმეურნეთათვის მხოლოდ დამხმარე, უმნიშვნელო შემოსავლის წყაროდ.

შარშან ზემომაჩხაანელთა მეზობელ სოფელში — მარზაანში ვიყავი: ორივე სოფელი ერთ სასოფლო საბჭოში შედის. აქ ერთ კოლმეურნეს შევხვდი, რომელიც საკარმიდამო ნაკვეთში გაფაციცებით ფუსფუსებდა. როცა შევეკითხე, თუ კოლმეურნეობაში რატომ არ მუშაობდა, გულდაწყვეტით თქვა: ჩვენი კოლმეურნეობა ღარიბია, შრომადღეებზე ბევრს ვერაფერს მივიღებ. აი ზემომაჩხაანელებმა უნდა თქვან, კოლმეურნეობა გვაქვსო...

სწორედ ასეთებზე ამბობს უკრაინელი მერგოლური ქალი ნ. ზაგლადა: „ზოგჯერ გესმის ადამიანებისაგან: თქვენ რა გიჭირთ, თქვენს არტელში ფულს ყოველთვის კარგად იხდიან. შრომადღეს წონა აქვს, ანა ერთი ჩვენი პური გაგესინჯათ.

კაცმა რომ თქვას, საიდან უნდა ჰქონდეთ ისე საკმარისად ყველაფერი, როგორც ჩვენ გვაქვს, თუ კოლმეურნეთა გულმოდგინება მხოლოდ საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთებს ეყოფნის?“

ასეთია ზემომაჩხაანელ კოლმეურნეთა პასუხიც.

ალ. ზურაშვილი.

1812 წლის სამამულო ომის 150 წლისთავის გამო

პირველი კინოლენტი

1812 წლის სამამულო ომი ერთ-ერთი ყველაზე გმირული ფურცელია რუსეთის ხალხის ისტორიაში. ბუნებრივია, რომ როცა თავის პირველ ნაბიჯებს დგამდა, რუსეთის კინემატოგრაფმაც მიმართა ამ თემას.

...1910 წელი. საფრანგეთის ფირმა „გომონი“ მოსკოვში შეუდგა „რუსული ფილმების“ წარმოებას და დადგა სურათი „ნაპოლეონი რუსეთში“. თავისი დროისთვისაც კი ეს მეტად სუსტი სურათი იყო. 15 წუთის განმავლობაში მაყურებელს უჩვენებდნენ ერთმანეთთან ცუდად დაკავშირებულ რამდენიმე ეპიზოდს — რაღაც ბრძოლას, ნაპოლეონს მოსკოვში, ფრანგების უკანდახევას. მიუხედავად ამისა, ფილმი საკმაოდ დიდი წარმატებით სარგებლობდა.

კინოს გამომსახველობითი საშუალებები რომ განვითარდა და მისი მხატვრების ოსტატობა გაიზარდა, ამ ფილმის დამოუკიდებლად ჩვენება უკვე აღარ შეიძლებოდა. მაშინ იგი გამოიყენეს ეგრეთწოდებულმა კინოდოკუმენტალისტებმა — მსახიობებმა, რომლებიც ქვეყანაში მოგზაურობდნენ და თან დაატარებდნენ პროიექტორსა და ლენტების მარაგს, რომელთა ჩვენებასთან ერთად კითხულობდნენ ლექსებს, ასრულებდნენ სიმღერებს, მონოლოგებს.

1912 წელს, როცა სამამულო ომის მეასე წლისთავი მოსალოდნელი იყო ქვეყანა ემზადებოდა წინაპართა გმირობის საზეიმოდ აღნიშვნისათვის, ორი ფირმა — ა. ხანუკოკოისა და პატეს მოსკოვის განყოფილება — ერთდროულად შეუდგა ფილმების გადაღებას, რომელთა სცენარები შთაგონებული იყო კლასიკოსთა ნაწარმოებებით, უწინარეს ყოვლისა ლერმონტოვის ლექსით „ბოროდინო“ და ვერეშჩაგინის ფერწერით.

თვითეული ფირმა მალე მიხვდა, რომ დამოუკიდებლად ვერ შექმნიდა „საბრძოლო ფილმს“, როგორც რეკლამა იუწყებოდა. ამიტომ გადაწყდა გაეერთიანებინათ ღონისძიებანი და ერთობლივად გადაეღოთ ფილმი.

ფილმი „1812 წელი“ ეკრანებზე გამოვიდა 1912 წლის 25 აგვისტოს და ძალიან გულთბილად მიიღეს მაყურებლებმა და პრესამ. თითქმის ყველა გაზეთი წერდა, რომ ეს იმ დროისათვის რუსეთში გადაღებულ ფილმებს შორის ყველაზე უკეთესი იყო.

საინტერესოა, რომ შემდეგშიც რუსეთის რევოლუციამდელი კინო არაერთგზის მიმართავს სამამულო ომის თემას. უკვე ერთი წლის შემდეგ რეჟისორებმა ი. პროტაზანოვმა და ვ. გარდინმა ორ სერიად გადაიღეს „ომი და მშვიდობა“, პ. ჩარდინინმა — „ნატაშა როსტოვა“.

რ. სოგოლევი.

გაგრატიონის უცნობი წერილი

ოდესა, 11 ოქტომბერი. (საკდესის კორ.). ოდესის საოლქო არქივში ნახეს 1812 წლის სამამულო ომის გმირის, გამოჩენილი რუსი მხედართმთავრის პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის უცნობი დოკუმენტები, დიდად საინტერესოა მისი წერილი, რომელიც 1810 წლის იანვარში გაეგზავნა ოდესის სამხედრო გენერალ-გუბერნატორს.

1810 წლის დამდეგს ბაგრატიონის ჯარებმა აიძულეს დანებებულიყო ბრაილოვის ციხე-სიმაგრის თურქთა გარნიზონი. ამ გარნიზონის შემადგენლობაში იყო დუნაისგაღმელ ზაპოროჟიელთა რაზმი, რომლებიც ძალით გაიწვიეს თურქებმა თავიანთ არმიაში. კაპიტულაციის პირობებით თურქეთის ჯარებს, როცა იარაღს დაყრიდნენ, უფლება ჰქონდათ დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. ზაპოროჟიელებმა უარი თქვეს თურქებთან ერთად წასვლაზე და ბაგრატიონს მიმართეს. თავის წერილში მხედართმთავარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ზაპოროჟიელები ჩამოშორდნენ თურქებს და ჩვენთან ნებაყოფლობით მოვიდნენ...“ წერილს დართული აქვს დოკუმენტი, რომელიც ზაპოროჟიელებს ანიჭებდა თავისუფალი მიმოსვლის უფლებას დუნაის გაღმიდან ოდესამდე.

1812 წლის სამამულო ომის 150 წლისთავის გამო

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს

კრიტიკა და გიბლიოგრაფია

„ა რ ვმალავ, ისეთი ხასიათისა და ტემპერამენტის ვარ ბუნებით, რომ მოძალება, დაჟინებით მიზნის მიღწევა, ბევრი დაბრკოლების დაძლევის შედეგად გზის გაკაფვა, კარიერის გაკეთება, პატივისა და სახელის მოხვეჭა არ მეხერხება. არ მეხერხება იმისათვის კი არა, სუსტი ნებისყოფის ვიყო, შრომის უნარი, ენერგია არ შემწევდეს. არა, თავმოყვარეობა (არა ავადმყოფური!) ნებას არ მაძლევს საკუთარ „მეზე“ ვილაპარაკო, მლიქნელობით, ვინმეს რეკომენდაციით თავი დავაფასებინო და შევაყვარო, ჩემს ღირსებასა და ზნეობრივ იერიდიულ უფლებაზე წამდაუწუმ ვილაპარაკო. პრაქტიკულ ცხოვრებაში ამ ჩემმა ხასიათმა, უეჭველია, ძლიერ დაბლა დამწია, ჩემზე გაცილებით უფრო სუსტებზე დაბლა დამაყენა როგორც პედაგოგიურ, ისე სამწერლო დარგში, მაგრამ მაინც ამას არ ვწუხვარ, ამას შეგნებულად, პრინციპულად ვურიგდები“.

ეს ამონაწერი ამოღებულია **იპოლიტე ვართაგავას სქელტანიანი მოგონებების წიგნიდან (II ნაწილი)**, რომელიც **გრ. ნადარეიშვილის** რედაქტორობით 1962 წელს გამოსცა გამომცემლობა „ცოდნამ“.

რატომ ან საიდან მივიდა ასეთ ახირებულ დასკვნამდე მხცოვანი პედაგოგი? ეს კითხვა, რომელიც უთუოდ წამოიჭრება, როცა ზემოაღნიშნულ ფრაზებს წაიკითხავ.

დავიწყოთ თავიდან. „**მოგონებები**“ შესდგება რამდენიმე განყოფილებისაგან. იგი იწყება ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლა-აღზრდის აღწერა-დახასიათებით და მთავრდება საქართველოს მწერალთა საზოგადოებისა და მისი კომიტეტის შექმნით. როგორც ხედავთ, ისტორიისათვის მეტად საინტერესო პერიოდია.

საერთოდ სასარგებლო საქმეა, როცა ხანდაზმული შემოქმედი აიღებს კალამს და შეუდგება მოგონებების წერას... ი. ვართაგავას ხომ ახლო ნაცნობობა და ლიტერატურული ურთიერთობა ჰქონდა მეცხრამეტე საუკუნის დიდ ქართველ მწერლებთან, ხელოვნების მუშაკებთან, ჟურნალისტებთან...

ყოველი ახალი სიტყვა, დიდ მოღვაწეთა ცხოვრების ყოველი ახალი ეპიზოდი, მათი ხასიათის თუნდაც ერთი ახალი შტრიხი დიდი განძია ისტორიისათვის... ამიტომ ბუნებრივია, როცა ხელში აიღებ ი. ვართაგავას „მოგონებებს“, სულით და გულით ეძებ ამ ახალს, საინტერესოს.

და მართლაც, „მოგონებებში“ აქა-იქ არის გაბნეული საინტერესო ფაქტები და შემთხვევები, აღწერილობანი და ეპიზოდები, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა წარსულის ავისა და კარგის გასაცნობად და დასადგენად.

კერძოდ თავი „1909-1913 წ. წ. თბილისის სასულიერო სემინარიაში“ იძლევა ერთგვარად წარმოდგენას ამ სასწავლებელში გამეფებულ სწავლა-აღზრდის შეზღუდულ მეთოდებზე და იმ სიანლეზეც, რომელიც შეჰქონდა ამ ძველ, დამყაყებულ ტრადიციებში პროგრესულად განწყობილ პედაგოგებს, სწავლასა და ცხოვრებაში ახალი იდეის მქადაგებლებს, ზოგიერთი დაუზუსტებელი დასკვნების მიუხედავად, როგორც მოგონება შედარებით კარგად იკითხება წიგნის უკანასკნელი თავები „ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის საზოგადოება“ და „საქართველოს მწერალთა საზოგადოება და მისი კომიტეტი“.

„მე ერთ ნომერში საწოლი მიმიჩინეს. დაღლილი ვიყავი, მიმეძინა. ორი საათი იქნებოდა, რომ ერთმა ამხანაგმა გამაღვიძა და მითხრა, სადილზე დარეკესო...

არა ტრაფარეტულად, არამედ, როგორც იტყვიან, დამაინტერესებელი ფრაზებით იწყება მოგონება. მიჰყვება სტრიქონებს...

მეშუარისტი აკადემიაში შესასვლელად აბარებს წერით გამოცდას ჯერ ზნეობრივ ღვთისმეტყველებაში, შემდეგ ფსიქოლოგიაში. გამოცდები მკაცრია. ბევრი კარგად მომზადებული ახალგაზრდა მოსულა აკადემიაში, მაგრამ...

„აი, საკვირველებავ! ჯერ გაკვირვებით და ჩურჩულით, შემდეგ კი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ: თბილისის სემინარიის სტუდენტს, ქართველს ვართაგავას ყველაზე კარგად დაუწერია, თხზულებაო; რეცენზენტები პირდაპირ განცვიფრებულნი არიანო“.

აქ შეიძლება კიდეც ეპატიოს ავტორს საკუთარ „მეზე“ ლაპარაკი (რომელიც, როგორც თვითონ წერს, თუ „არ ეხერხება“), რამდენადაც სასულიერო აკადემიაში მისაღები გამოცდების აღწერით ასე თუ ისე ხატავს სწავლა-აღზრდის მაშინდელ შეზღუდულ წესებს, მართალია ფერმკრთალს, მაგრამ მაინც სურათებს.

ფერმკრთალ სურათებს იმიტომ ვამბობთ, რომ ი. ვართაგავას მოგონებებში თითქმის ყველა მოვლენა, მისი ავი და ყარგი ემორჩილება, ფეხდაფეხ მიჰყვება მემუარისტის ბიოგრაფიას, მის თავგადასავალს.

ავტორი მოვლენების არსს იმის მიხედვით აღიქვამს და გადმოგვცემს, როგორც მას მოსწონდა და არ მოსწონდა... უფრო კონკრეტულად აქებს ცხოვრების იმ წესს, იმ ადამიანებს, რომლებიც მას სიამოვნებას გვრიდნენ, ხოლო ამაგებს მათ, ვინც აწუხებენ ხდა. ცხადია, ასეთი ტენდენციურობა ყოველთვის მიგვიყვანს ისტორიული ფაქტების დამახინჯებამდე.

უთუოდ ასეა დაწერილი ვრცელი მოგონებები ზნამენსკის, ნესმელევის, ფოლკოვის, ბლაგოვიდოვის და სხვათა შესახებ და, ბოლოს ასეა დაწერილი ბერი მონარქისტის, ყაზანის აკადემიის რექტორის ეპისკოპოს ანტონის დაწვრილებითი ბიოგრაფია, რომელიც მეტისმეტად გადატვირთულია ყოფითი დეტალებით და მკითხველისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ბერი მონარქისტის ვრცელ ბიოგრაფიას მემუარისტი ასე ამთავრებს:

„რექტორი ანტონი ორი წლის შემდეგ, რაც მე აკადემია დავამთავრე, დანიშნეს ვოლინის დამოუკიდებელ ეპისკოპოსად. 1905 წელს ანტონი ეს ტუმრი თავრიდის ეპისკოპოს ალექსეს. აქ მას შეუტყვია, რომ მე ვმსახურობ სასულიერო სემინარიაში. ერთ დღეს ეტლი მოადგა სემინარიის მთავარ კორპუსს; ეტლიდან გადმოვიდა ეპისკოპოსი ანტონი და შვეიცარს ჰკითხა, სად ცხოვრობდა ვართაგავა. შვეიცარი შემოვარდა სამასწავლებლოში და გადმომცა, რომ ყოველად სამღვდელო ეპისკოპოსი კითხულობს თქვენს ბინასო.

მე მივვლებე ანტონს. გავხარდა, გადამკოცნა და ჩემს ბინაში შემოვიდა. მაშინ უკვე სამი ბავშვი მყავდა. მოუხმო ყველას, გადაკოცნა, მუხლებზე დაისვა და ეალერსებოდა. მოიგონა ბევრი რამ ყაზანის აკადემიისა და პირადად ჩემი ცხოვრების შესახებ. კვლავ დამლოცა ცოლ-შვილით და წავიდა. ამის შემდეგ მე ის არ მინახავს. გაზეთების საშუალებით კი თვალყურს ვადევნებდი მის სამსახურებრივ მდგომარეობას, მას მალე არქიეპისკოპოსობა მისცეს. თებერვლის რევოლუციის პერიოდში მან დიდი როლი ითამაშა რუსეთში პატრიარქობის აღდგენის საქმეში. როგორც ამბობდნენ, დიდი ოქტომბრის რევოლუციის დროს ის ემიგრაციაში მოყვა და მიტროპოლიტის სახელით ერთ-ერთ საზღვარგარეთელ სლავურ კუთხეში ცხოვრობდა, როგორ დამთავრდა მისი ორიგინალური ცხოვრება, ამის შესახებ არაფერი გამიგია შემდეგ“.

საკითხავია, რას იძლევა ახალს, საინტერესოს ასეთი ინტერესოს ასეთი ბიოგრაფიები ბერებისა, ეპისკოპოსებისა, მიტროპოლიტებისა, რომლებსაც უკავია ამ ვრცელი, ოთხასგვერდიანი მოგონებების თითქმის მესამედი?..

ავტორს ერთი უცნაური ჩვეული ახასიათებს. როცა რაიმე ეპიზოდს ყვება და დასტირდება ახსენოს ვინმეს გვარი, მაშინვე შორდება თემას და იწყებს ამ ახალი პიროვნების ბიოგრაფიის გადმოცემას, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას წარნისათვის, ქკოთხელისათვის რამე არსებითი ღირებულება.

ასეთი არაფრისმთქმელი ბიოგრაფიები ცოტა როდია ამ სქელტანიან წიგნში. მაგალითად, რა ფასი აქვს ისტორიისათვის ან საერთოდ ღირს კი ასე ვრცელ მოგონებად ბეთალი კაჩუხაშვილი „ვირტუოზულად მოთამაშე ბილიარდისა, პრეფერანსისა და ვინტისა“, რომლითაც „ის საგრძნობ თანხას იგებდა“, ან ნოტარიუსი სოლომონ ჯიქია და მისი მეუღლე, რომელთა ცხოვრების აღწერაში არაფერია ტიპიური და საინტერესო.

უთუოდ გაჭიანურებულია და ყოველგვარ თავმდაბლობასა და უბრალოებას მოკლებული ვრცელზე ვრცელი მოგონება იმის შესახებ, თუ როგორ შეირთო ი. ვართაგავამ მეუღლე, ვინ იყვნენ მისი ნათესავები, სად ცხოვრობდნენ, როგორ იქეიფეს ქორწილში...

„ჩემი ცოლის ბიძამ — სასომ, — ასე იწყებს მოგონების ამ ვრცელ ნაწილს ი. ვართაგავა, — რომელიც ორი დღით ადრე წავიდა, ჭიათურაში დაგვახვედრა ცხენები. დილის 9 საათი იქნებოდა. შეესხედით ცხენებზე და ვიწრო ბილიკით გავემგზავრეთ სოფლისაკენ. მივედით დარკვეთამდის. აქ ამდაგილითმეფეთ მე. ყვარილაზე ჭკონდათ ორი ხუთ-ხუთ თვალიანი წისქვილი და, აი, სასოს აქ მაყრიონისათვის დაუშენდებია საუზმე. ჩამოვხტეთ ცხენებიდან, ტირიფის ქვეშ დაგვხვდა სუფრა გაწყლილი. სოფლიდან ჩამოსულან ჩემი შეუღლის ნათესავები და მეზობლები. გაიმართა ქეიფი. სულყვეთაფერი უნვიდ იყო: ცოცხალი თევზი თავზე საყრელად, ქათმები, ინდაურები, ბუჩეკაკები, დაუკლავთ უშობელი. ღვინო ხომ ულევლად იყო“.

„...მინდა მოვიყვანო ერთი პატარა ეპიზოდი ქუთაისში ჩემი ქორწინების გამო გამართული ქეიფისა, — აგრძელებს ი. ვართაგავა, — ამ ქეიფის დროს თავი გამოიჩინა... ბესა როგავამ. ბესა იყო მღვდელი... როდესაც ქეიფმა და ღვინის სმამ უშეკერვალეს წერტილს მიაღწია, ყველამ შეამჩნია, რომ ბესა არამც თუ უარს არ ამბობს მორიგი სადღეგრძელოების მოღებაზე, არამედ ხშირად თავმდაბლად, მაგრამ ენერგიულად, გადადის შეტევაზე... ქუთაისის ცნობილმა მოქეიფეებმა და ღვინის სმით განთქმულმა პირებმა ბესა აიჩემეს და უნდოდათ მისი დათრობა“.

მოგონებების ავტორი რაც შეიძლება დაწვრილებით აღწერს ამ შეჯიბრების მსვლელობას, მის გამოძახილს წისქვილში და შემდეგ სოფელ ბეთნეკში.

ამის შემდეგ ი. ვართაგავა იწყებს ცოლის ნათესავების ცალ-ცალკე დახასიათებას, ვის როგორი სახლი ედგა, რამდენი ძროხა ჰყავდა, იყვნენ თუ არა პურმარილიანი და სხვ.

ასეთ წმინდა საოჯახო, უმნიშვნელო და მოსაწყენ თხრობას წიგნში ცოტა ადგილი როდი უჭირავს. ამ უხერხულობას გრძნობს წიგნის რედაქტორი, მაგრამ წინასიტყვაობაში ამართლებს მას და წერს:

„ვერ ვიტყვით, რომ ფაქტებსა და მოვლენებს ავტორი ყოველთვის ერთნაირი მიუდგომლობითა და მართებულად აშუქებდეს. ამას ვერც მოვთხოვთ მოგონებების ავტორს. იგი ნახულსა და გაგონილს გადმოგვცემს „ისე, როგორც მის მეხსიერებას შემოუნახავს...“

ეს არგუმენტი შეიძლება გამართლებული იყოს სამეზეიმო-საარქივო ჩანაწერების მიმართ. მაგრამ ეს „მოგონებები“ ისე ხელაღებით, საფუძვლიანი რედაქტირების გარეშე, ცალკე, დიდტანიან წიგნად გამოიცეს ათი ათასი ცალი ტირაჟით, არ დაერთოს შენიშვნები და კომენტარები და ისე მიაწოდო ახალგაზრდობას, უთუოდ შეცდომაა.

ეს შეცდომა [illegible] ბმინ, როცა ი. ვართაგავა ასე თუ ისე [illegible] ბა საოჯახო თემ[illegible] საეკლესიო [illegible] სო მოგონებებს [illegible] გიურ სფეროში.

მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს. ი. ვართაგავა ოცი [illegible] ბოლოს სასულიერო [illegible] მას სურ[illegible] მაგრ[illegible] მომ[illegible] წვალებელთა და [illegible] სია, რომლებსაც წლის განმავლობაში უნდა დაეწერათ ქადაგება.

„მოახლოვდა ჩემი ვადაც, — იგონებს ავტორი, — ტექსტი — თუმა ავირჩიე. ისეთი კვირა შემსწდა და ტექსტიც ისეთი ავიღე, რომელიც მე საბბს მაძლევდა შეეხებოდი ლ. ნ. ტოლსტოის სახარების ზოგიერთი დებულებების და ქრისტიანული დოგმატიკის კრიტიკას, რომელიც მას გამოთქმული ჰქონდა თავის ნაწარმოებებში: „რაშია ჩემი რწმენა“ და „მიტროპოლიტ ბაკარის „დოგმატური ღვთისმეტყველების“ კრიტიკა“.

შეეუდექი ქადაგების წერას. დრო ბევრი მქონდა; წყაროებიც — უხვად; სემინარიამ და აკადემიამ მომეცეს ჩვეულები ოხზულებების შედგენისა. ტემპერამენტიც არ მაკლდა. პოლემიკაში „ივერიამ“ დამახელოდნა. ასეთ პირობებში მე, მართლაც, ვრცელი და მახვილგონივრული გამოთქმებით აღსავსე ქადაგება გამოვაცხვე“.

და შემდეგ..

„როგორც ოფიციალური მოხელე, სასულიერო სემინარიის აღმზრდელი მოგალე. ვიყავი ერთი მაგარი. ქვა მეც მესროლა დიდი ტოლსტოისადმი და დამეცა პრესტიჟი და ავტორიტეტი მართლმადიდებელი ეკლესიისა, რომლის სულიერ შვილად მეც ვითვლებოდი“.

ეს ყველაფერი ი. ვართაგავას მიაჩნია დიდ მიღწევად, სემინარიის ნიჭიერი მოხელის (რომელსაც „ტემპერამენტი არ აკლდა“) სწორ ნაბიჯად.

ლ. ტოლსტოისთან საბრძოლველად დიდი ილიას „ივერიაც“ კი მოიშველია ი. ვართაგავამ. ვაი სირცხვილო!.. განა „ივერია“ ახალგაზრდებს ასეთ უბრალოცხო პოლემიკას ასწავლიდა?

იქნებ დღეს მაინც უარყოფს თავის მცდარ ნაბიჯს ი. ვართაგავა და ინანებს?! არა, დღესაც იგი ძველ პოზიციაზეა დგას, მედავითნის პოზიციაზე და წერს:

„ეპისკოპოს ნიკოლოზს ძლიერ მოსწონებია ტოლსტოის შესახებ ანტიკრიტიკა და შემდეგი რეზოლუცია წაუწერია: „ფრიად შინაარსიანი და უაღრესად ალმაზოვლენობით თვისებების შემცველი (უმთავრესად ახალგაზრდობისათვის) — ქადაგებაა. ღვთის კეთილგვით წარმოთქვას კათედრალურ სობორშინი. დაიბეჭდოს „საეკლესიო უწყებებში“, გაკეთდეს ხუთასი ანაბეჭდი და დაიგზავნოს რუსეთის სასულიერო ეპარქიებში. დანარჩენი დაურიგდეს სასულიერო სემინარიის. ქალთა ეპარქიული სასწავლებლის და სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებს. თავრიდან ეპისკოპოსი ნიკოლოზი“.

„რა ვქენი მე? რას ვაკეთებდი“ — კითხულობს ი. ვართაგავა, — აბკარა სიყალბეს, თუ გნებავთ თვალთმაქცობასაც. მაგრამ ამ „სიყალბისათვის“, ამ „თვალთმაქცობისათვის“ დღესაც არ ვამტყუნებ ჩემს თავს“...

მინდა ისევ გავიხსენო ი. ვართაგავას მოგონებებიდან ამონაწერი, რომლითაც იწყება ეს წერილი.

„არ ვმალავ... კარიერის გაკეთება, პატივისა და სახელის მოხვეჭა არ მეხერხება... იმისათვის კი არა, სუსტი ნებისყოფის ვიყო... არა, თავმოყვარეობა ნებას არ მაძლევს საკუთარ „მეზე“ ვილაპარაკო, მლიქნელობით, ვინმეს რეკომენდაციით თავი დავაფასებინო და შევაყვარო“.

სწორედ ამაზეა ზედ გამოჭრილი ქართული ანდაზა — ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

გასაკვირველი კიდეც ის არის, რომ გამომცემლობა „ცოდნა“, რომლის ძირითადი ამოცანაა საშუალო და უმაღლესი სკოლებისათვის თავის დროზე და მაღალხარისხოვნად გამოსცეს სახელმძღვანელოები, რატომღაც გატაცებულია თავისი პროფილისათვის შეუფერებელი წიგნების გამოცემით.

კიდეც უფრო გასაკვირველია ის, რომ გამომცემლობას თავისი ძირითადი საქმე მაინც და მაინც კარგად არა აქვს მოგვარებული. სკოლების, მოსწავლეების გაზრდილ მოთხოვნილებას სრულად ვერ აკმაყოფილებს ზოგიერთი სახელმძღვანელოს ტირაჟი და ასეთ დროს ქაღალდის ძვირფასი ფონდი ხმარდება მანკიერი მოგონებების გამოცემას.

ვ. კეთილაძე.

ოპერაციები თუ მაქინაციები?

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. საკდესის სპეც. კორესპონდენტი ვ. პეტრუსენკო იუწყება: გენერალური ასამბლეის მეხუთე კომიტეტის მუშაობისადმი იყო მიპყრობილი დღეს დელეგატებისა და პრესის წარმომადგენლების უდიდესი ყურადღება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ყოველთვიურად ხარჯავს თერთმეტ მილიონ დოლარზე მეტს ეგრეთწოდებული „ოპერაციებისათვის“ კონგოში. უკვე დაიხარჯა ამ ოპერაციებზე 300 მილიონამდე დოლარი, რასაც მოჰყვა მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის. კოლონიურ სახელმწიფოთა მეცადინეობით გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ჩართული აღმოჩნდა ძვირად ღირებულ ოპერაციებში, რომელთა მიზანი ერთია — განამტკიცონ იმპერიალისტთა პოზიციები აფრიკის ცენტრში, დაანაწილონ კონგო და არ დაუშვან მისი გაერთიანება. საბჭოთა კავშირი არ დათანხმდება იკისროს რაიმე პასუხისმგებლობა კოლონიურ სახელმწიფოთა დანაშაულისათვის, — განაცხადა დღეს სსრ კავშირის წარმომადგენელმა პ. მ. ჩერნიშოვმა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1963 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ გამართულ კამათში გენერალური ასამბლეის XVII სესიის მეხუთე (ადმინისტრაციულ და საბიუჯეტო) კომიტეტში.

კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებული ძალების ყოფნის მთელი უნაყოფობის უკანასკნელი მკაფიო დადასტურებაა განიზაციის უკანასკნელი ათი წლის საქმიანობის გამოცდილება გვიჩვენებს, საბიუჯეტო ხარჯების ტვირთი ამერიკის შეერთებული შტატების ინგლისისა და საფრანგეთის ნაცვლად წლითიწლ ო ბ ი თ სულ უფრო მეტად ეკისრებათ სსრ კავშირს და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს. საეჭვოა გავითვალისწინოთ აგრეთვე, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ბინის ნიუ-იორკში ყოფნის გამო ამერიკის შეერთებული შტატები დამატებით იღებენ რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარს უჩინარი ექსპორტის ფორმით.

საბჭოთა წარმომადგენელმა მოუწოდა ადმინისტრაციულ და საბიუჯეტო საკითხთა კომიტეტს გაიქმოს მანკიერი პრაქტიკა ამერიკის შეერთებული შტატების შესატანთა შემცირებისა და შესატანის ოდენობა განსაზღვროს ობიექტური ეკონომიური მონაცემებით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVII სესიის დილის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა საერთო პოლიტიკური დისკუსია. დარბაზში დამსწრეებზე უბადრუკი შთაბეჭდილება მოახდინა დომინიკოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ბონილია ატილესის გამოსვლამ. მან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნა გამოიყენა, რათა ისტერიული კიკილი აეტეხა რევოლუციური კუბის წინააღმდეგ.

ტელეგრამები გვატყობინებს

☐ **ბაჰამის** კუნძულების (ინგლისის კოლონია) გუბერნატორმა სერ რობერტ სეიპლდონმა დაითხოვა კრების პალატა და საყოველთაო არჩევნები დანიშნა 26 ოქტომბერს.

☐ **ვაშინგტონში** ოფიციალურ ვიზიტად მყოფი გვინეის პრეზიდენტი სეკუ ტურე მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კენედიმ.

☐ **ქალაქ** ბაგოტვილის (კანადა) აეროდრომზე მოხდა საავიაციო კატასტროფა. ასაფრენ-დასაჯდომ მოედანზე დაშვების დროს „ვაიკაუნტის“ ტიპის სამგზავრო თვითმფრინავი დაეჯახა ასაფრენად გამზადებულ „ვუდუს“ ტიპის რეაქტიულ ავიაგამანადგურებელს. „ვაიკაუნტის“ ტიპის თვითმფრინავში იყო 15 მგზავრი, რომელთა უმრავლესობა სერიოზულად დაშავდა. ერთი მგზავრი და სტიუარდესა დაიღუპნენ. ავიაგამანადგურებლის ეკიპაჟი გადარჩა.

☐ **პატარა** კუნძულ არუბაზე (სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ სანაპიროსთან), რომელიც ჰოლანდიას ეკუთვნის, ნავთობგამოსახდელ ქარხანაში აფეთქდა ცისტერნა. ცისტერნაში იყო დაახლოებით 38.000 ბალონი შხამიანი მჟავა. აფეთქების შედეგად დაიღუპა ერთი კაცი და რამდენიმე მძიმედ დაშავდა.

☐ **იაპონიის** ეროვნული თავდაცვის სამმართველომ გამოაცხადა იმის შესახებ, რომ მიაგის პრეფექტურის სანაპიროსთან ზღვაზე შეიქმნა სარაკეტო სროლის ახალი პოლიგონი.

☐ **იმ** ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ფილტვების კიბოთი გარდაიცვალნენ ინგლისსა და უელსში 1961 წელს, შეადგენს 22.810 კაცს. 810 კაცით მეტს, ვიდრე 1960 წელს. გულის დაავადებით გარდაცვლილთა რიცხვი 95.770 უდრის. (საკდესი).

ეგვიპტის გაფრთხილება

კაირო, 11 ოქტომბერი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა მთელი თავისი საშუალებებით დაუჭერს მხარს იემენს, რათა დაეხმაროს აგრესიის მოგერიებაში, განაცხადა გუშინ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ალი საბრიმ. ეს განცხადება გაკეთდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საპრეზიდენტოს საბჭოს სხდომის შემდეგ, რაც გაიმართა პრეზიდენტ ნასერის თავმჯდომარეობით. სხდომაზე განიხილეს საკითხი „საუდის არაბეთისა და იორდანიის ახლანდელი აგრესია იემენის ჩრდილოეთ საზღვრებზე და უცხოეთის ჩარევა იემენის რესპუბლიკის საშინაო საქმეებში სამხრეთიდან“.

პროვოკაციული სამხედრო დემონსტრაცია

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი დასავლეთ ბერლინიდან იუწყება, რომ ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო ნაწილებმა დაიწყეს იქ „სამი დღის ჩვენება ბრძოლისათვის თავიანთი მზადყოფნისა“.

ფაშისტები თავს იძვრენენ

ლონდონი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). ინგლისის უმაღლესმა სასამართლომ უარყო ინგლისელ ფაშისტთა მეთაურის მოსლის აპელაცია სასამართლოს გადაწყვეტილების გამო, რომელმაც უყურადღებოდ დატოვა მის მიერ შეთითხნილი სარეკვარი გზით „დეილი უორკერის“ მიმართ.

მოსლი დაბალი ინსტანციის სასამართლოს საშუალებით ცდილობდა „ჰასუხისგებაში“ მიეცა დიდი ბრიტანეთის კომპარტია და გაზეთი „დეილი უორკერი“ ფაშისტთა დემონსტრაციების ჩაშლისათვის. იგი ამაოდ ცდილობდა სასამართლოს საშუალებით მიეღწია, რომ „დეილი უორკერმა“ შეწყვიტოს მასალების გამოქვეყნება, რომლებიც ფაშისტთა საქმიანობას ამხილებენ.

მეორე კვირაა ლონდონში მიმდინარეობს ინგლისის ეროვნულ-სოციალისტური მოძრაობის ოთხი ფაშისტი მეთაურის დასამართლება. მათ ბრალად ედებათ ჰიტლერელთა მოიარეშე რაზმების ტიპის გასამხედროებული ორგანიზაციის „სპარტედის“ შექმნა. მოწმეთა ჩვენება და შეგროვებული უამრავი ნივთიერი საბუთები, რომელთა შორის არის ავტომატური პისტოლეტები, საველე ტელეფონები, ასაფეთქებელ ნივთიერებათა დასამზადებელი მასალები, საკმაოდ მკაფიოდ ახასიათებენ „ფიუერერ“ ჯორდანისა და მისი თანამზრახველების დანაშაულებრივ საქმიანობას. ჯორდანი გამოუვალ მდგომარეობაშია, თუმცა იგი ყოველნაირად ცდილობს თავი დაიძვრინოს და აიცილოს პატიმრობა, რომელიც ემუქრება.

ბონისა და პარიზის ფლირტი საფრთხეშია

დე გოლის პოლიტიკური ლაბირინთი

პარიზი, 11 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი **გ. დრაგუნოვი** იუწყება: პრეზიდენტი დე გოლი ჩავიდა ქალაქ ტულონში (საფრანგეთის უ დ ი დ ე ს ი სამხედრო-საზღვაო ბაზა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე), ადეკნოს თვალყური, მდინარეობს საზღვაო ჰაერო მანევრები. დე გოლი ვერტმფრინავით წავიდა „კლემანსოზე“.

როგორც ცნობილია, საფრანგეთის ფლოტისა და ავიაციის მანევრები ხმელთაშუა ზღვაში ნაწილია ომისშემდგომი საფრანგეთის ისტორიაში უდიდესი წვრთნისა, რაც დაიწყო 4 ოქტომბერს. ამ მანევრების თემა, რომელშიც მონაწილეობს 150 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ეგრეთწოდებული „დეპარტამენტის თავდაცვის ნაწილები“, ეანდარმერია და სხვ., „წითლების“ დარტყმის მოგერიებაა... კერძოდ, ხმელთაშუა ზღვის მანევრების დროს გათამამდება ეპიზოდი, როცა „წითლების“ ავიაცია ცდილობს ხელში ჩაიგდოს საფრანგეთის სამხედრო ხომალდების ქარავანი (რომლებსაც ეწოდება „ლურჯები“).

საფრანგეთის დემოკრატიულ წრეებში ყურადღებას აქცევენ ამ აშკარად ნათქვამს, რომ საფრანგეთს „საფრთხე“ მოელის სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მხრივ და კითხულობენ: საფრანგეთის ახლანდელ ხელმძღვანელებს ეს სამხედრო-პროპაგანდისტული ფანდი იმისათვის ხომ არ დასჭირდათ, რომ დაუმტკიცონ თავიანთი „ლოიალობა“ რევანშისტულ დასავლეთ გერმანიას.

ყურადღებას აქცევენ ასეთ გარემოებასაც: გენერალი დე გოლი, რომელიც ამჟამად ასე დიდ ყურადღებას უთმობს „საფრანგეთზე აღმოსავლეთიდან თავდასხმის“ იმიტაციას, ერთ დროს ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საფრანგეთის საბელმწიფოსათვის საშიშია საბჭოთა კავშირისაგან განცალკევებთ ყოფნა და რომ საფრანგეთ-რუსეთის კავშირი „ისტორიის ყოველი მობრუნების დროს აუცილებელი ხდებოდა“.

საფრანგეთის პატრიოტულ წრეებში აცხადებენ, რომ „განცალკევებულობა“, რომელიც ამჟამად იქამდე მივიდა, რომ გამოხდომებს აწყობენ საბჭოთა კავშირის წინააღმ

მოთხრობა

რთველი და სიყვარული

ელიზბარ ზედგინიძე

შაშიანში კახელაზე ადრე არავინ დგება. მამლის ყივილსაც ასწრებს. მამალმა რატომ უნდა გამაღვიძოსო, — ამბობს ის, — სადაურა ჩემი მეზარეაო. პირიქით, თვითონ აღვიძებს ქათმებს. გამოდა თუ არა ეზოში ჯერ წყაროსთან მივა, ხელპირს დაიბანს, გამოიფხიზლებს, მერე კი მანქანას მომართავს და აგუგუნებს. საქათმეში ფრინველებს ერთი ოროვტრიალი აუტყდებათ ხოლმე.

მისი ნამდვილი სახელი ავთანდილია, მაგრამ ავთანდილი რომ დაუძახოთ, შეიძლება არც გამოგეხმაროთ. განა კახეთში ყველა კახელი არ არის, რომ ავთანდილს კახელა შეარქვეს? მაგრამ იცის ხალხმა, ვის რა უწოდოს.

კახელას მესხიანთ გოგო მოსწონს — თინათინი. არც თინათინია ცუდი გოგო. ფუსფუსა და მოუსვენარი. უსაქმოდ ერთ წუთსაც ვერ სძლებს. რაც არ უნდა დაგალოს, ყველაფერს გულით აკეთებს. შარშან გაზაფხულზე საშეალო სკოლა დაამთავრა. ტყეელ-უბრალოდ რომ არ ეარა, ფერმაში ფიზიკების მომზელად დაიწყო მუშაობა. შავგრემანი და ეშხიანი გოგო, თანაც ბეჯითი, ბევრ ყმაწვილს სტაცებს თვალს, მაგრამ სიტყვას ვინ შებედავს კახელას ხათრით!

დილაობით კახელა პირდაპირ ფერმაში ჩაიქროლებს ხოლმე, იქნებ თინათინს თვალი მოკრაო. შეიძლება გამოელაპარაკოს კიდეც. გულს მომგები სიტყვა უთხრას. მაგრამ თინათინს კახელასთვის სადა სცალია. ათასობით წიწილა ახვევია. ყველა წიკვ-წიკავს გაიძახის და საკენკს დაეძებს. თითქოს ბრმები არიანო, ვერაფერს ხედავენ, უსათუოდ ხელში უნდა აიყვანოს და შიგ ფეტვში ჩასვაოს.

ერთხელ კახელას უთხრეს:

— ბიჭო, კახელავ, მა გოგოს ცოლად არ გამოგატანენ!

— მითომ რატომაო? — ითაკილა კახელამ.

— იმიტომ რომ ი გოგო ნასწავლია, სადაცაა ინსტიტუტში შევა, შენ კი საშუალოც არა გაქვს დამთავრებული.

— მე ვერ ვისწავლი თუ? — მიუგო კახელამ, მაგრამ გულში წყენამ გაკვრა, საგონებელში ჩავარდა, გაიფიქრა:

„ვაი თუ მართლა არ გამომგანონ, მერე რაღა ვქნა?..“

გოგონებული დადიოდა. ბოლოს მოზრდილთა სკოლაში შევიდა და დამშვიდდა. დაიყენებს თუ არა მანქანას, მაშინვე სკოლისკენ მირბის. იცის კახელამ, რომ თინათინი მომავალ წელს თბილისში წავა და უმაღლესში დაიწყებს სწავლას. გაუფრინდება თინათინი, მერე რაღა ქნას? უმისოდ მთელი სოფელი ხომ ცარიელი იქნება. მისთვის?..

ამ დილას გაგულისებული ადგა. გადაწყვიტა დღეს უსათუოდ დიმარტოელოს და სიტყვა ჩამოართვას, უნდა გადაწყდეს, ან კო, ან არა!

ამ ფიქრით გატაცებული კახელა ლამაზად გამოეწყო, თითქოს სამუშაოდ კი არ მიდიოდა, არამედ ქორწილში. წვერი გაიპარსა, ქოჩორი კონტად

ფოლკლორულ-შემეცნებითი ლაშქრობა

რა გინდა, ბიჭო, რა გინდა!

ქალი: რა გინდა, რა გინდა,
რომ არ მშორდები,
ჩიტად ვიქცევი,
ხომ მომშორდები.

ვაჟი: რა მენაღვლება,
ჩიტად იქეცი,
მაშინ მე მახედ
გადავიქცევი.

ქალი: რა გინდა, რა გინდა,
რომ არ მშორდები,
თევზად ვიქცევი,
ხომ მომშორდები.

ვაჟი: რა მენაღვლება,
თევზად იქეცი,
მაშინ მე ბადედ
გადავიქცევი.

ქალი: რა გინდა, რა გინდა,
რომ არ მშორდები,
მუხად ვიქცევი.
ტყეში ვიქნები.

ვაჟი: რა მენაღვლება,
მუხად იქეცი,
მაშინ მე სუროდ
გადავიქცევი.

ქალი: რა გინდა, რა გინდა,
რომ არ მშორდები,
ნემსად ვიქცევი,
ხომ მომშორდები.

ვაჟი: რა მენაღვლება,
ნემსად იქეცი,
მაშინ მე ძაფად
გადავიქცევი.

ქალი: რა გინდა, რა გინდა,
რომ არ მშორდები,
შეშად ვიქცევი
ხომ მომშორდები.

ვაჟი: რა მენაღვლება,
შეშად იქეცი,
მაშინ მე ცეცხლად
გადავიქცევი.

ქალი: რა გინდა, რა გინდა,
რომ არ მშორდები,
კუბოდ ვიქცევი,
ხომ მომშორდები.

ვაჟი: რა მენაღვლება
კუბოდ იქეცი,
მაშინ მე ცხედრად
გადავიქცევი.

ქალი: რა გინდა რა გინდა,
რომ არ მშორდები,
მაწყად ვიქცევი,
ხომ მომშორდები.

ვაჟი: რა მენაღვლება,
მიწად იქეცი,
მაშინ მე ნესვად
გადავიქცევი.

ქალი: რა გინდა, რა გინდა,
რომ არ მშორდები,
ნესვად ვიქცევი,
ხომ მომშორდები.

ვაჟი: რა მენაღვლება,
ნესვად იქეცი,
მაშინ მე ბაღვად
გადავიქცევი.

ქალი: რა გინდა, რა გინდა,
რომ არ მშორდები,
ბაღვად ვიქცევი,
ხომ მომშორდები.

ვაჟი: რა მენაღვლება,
ბაღვად იქეცი,
მაშინ მე ბაღვის
ბაღვად ვიქცევი.

მოქმედი ემ. კანდელაკი
ჩამწერი ვ. შაკულიძე.

ტყიბულის რაიონი.

ბაღანებმა ბალიშებიანი ტახტები ბაღში ამოიტანეს, ბალიშებზე ბალიშებს ალაგებენ, ბალიშებზე ბალიშებს ალაგებენ, ბალიშებზე ბალიშებს ალაგებენ